ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2334010

ნომერი: AR1360638

თარიღი : 01.12.2015

გაცემის თარიღი : 08.12.2015

გაცნობის თარიღი : 08.12.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხეთაგუროვი , N 36 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი მაჭარაშვილი პ/ნ 01019058902
- თბილისი თემქა XI მ/რ III კვ. კორ. 50 ბ. 33

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 01/12/2015 წლის AR1360638 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია სამსახურის 24/07/2015 წლის №2026705 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება, კერძოდ, წარმოდგენილი კორექტირებული გეგმების შესაბამისი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების დაფიქსირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 24.07.2015 წლის N2026705 ბრძანებით ქ. თბილისში, ხეთაგუროვის ქ. N36–ში, სააქციო საზოგადოება "კავკასიის განვითარების ბანკი–საქართველო"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (საკ. კოდი N01.16.06.062.004), შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 27 ივლისიდან 2015 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების, ასევე, წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებისა და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების 24/07/2015 წლის №2026705 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმებთან ურთიერთშედარების შედეგად დგინდება, რომ შეცვლილია გეგმარება და წარმოდგენილი გეგმები არ შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს.

ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19/10/2015 წლის №2246750 გადაწყვეტილებით დადასტურდა ქ. თბილისში, ხეთაგუროვის ქ. N 36–ში, სააქციო საზოგადოება "კავკასიის განვითარების ბანკი–საქართველო"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (საკ. კოდი N 01.16.06.062.004), მრავალფუნქციური შენობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 02 სექტემბრის N8–888/12 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებითი მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით. მითითებულ გადაწყვეტილებაში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ დაფიქსირებულა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,პ" ქვეპუნქტის თანახმად, „ქ. თბილისში (გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით“.

შესაბამისად, ვინაიდან შეცვლილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24.07.2015 წლის N2026705 ბრძანებით შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული გეგმარება და წარმოდგენილი მაჩვენებლები გამომდინარეობს აღნიშნული შეცვლილი გეგმარებიდან, სამსახური N2026705 ბრძანებაში ცვლილებას მაჩვენებლებთან დაკავშირებით ვერ შეიტანს. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული მაჩვენებლების ცვლილება გამომდინარეობს 19/10/2015 წლის №2246750 გადაწყვეტილებით განხორციელებული დადასტურებიდან და თუ მის საფუძველზე ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნით შეგიძლიათ მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ 24.07.2015 წლის N2026705 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დაფიქსირებულია შეცდომით, აღნიშნული შეცდომის გასწორების მოთხოვნით განაცხადი შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ სამსახურის ელექტრონულ ვებ–გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი თანმიმდევრობით: სამართლებრივი საკითხები, შემდეგ ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში.